ხელშეკრულება

„სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ რეგისტრირებულ ფიზიკურ პირებზე არსებული ზოგიერთი ინფორმაციის სსიპ-იუსტიციის სახლისთვის მიწოდების შესახებ

ქ. თბილისი 8 ივნისი 2016 წელი

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო (შემდგომში - სამინისტრო), წარმოდგენილი მინისტრის მოადგილის, **ზაზა სოფრომაძის** სახით, სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ-სოციალური მომსახურების სააგენტო (შემდგომში - სააგენტო), წარმოდგენილი სააგენტოს დირექტორის მოადგილის მოვალეობის შემსრულებლის, **კობა სონღულაშვილის** სახით, სსიპ-იუსტიციის სახლი (შემდგომში - იუსტიციის სახლი) წარმოდგენილი იუსტიციის სახლის აღმასრულებელი დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის, **გივი აზაურაშვილის** სახით და სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო (შემდგომში - სერვისების განვითარების სააგენტო), წარმოდგენილი სერვისების განვითარების სააგენტოს მისი თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის, **გიორგი პატარიძის** სახით, შემდგომში, ერთობლივად, მხარეებად წოდებულნი,

საქართველოს კანონმდებლობის, მათ შორის, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ” საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ა“ და „თ“ ქვეპუნქტების, „სოციალური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის „გ“ და „ზ“ ქვეპუნქტების, „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სოციალური მომსახურების სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 27 ივნისის №190/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-2 მუხლის , „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – იუსტიციის სახლის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2015 წლის 25 ივლისის №85 ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის, „სსიპ-იუსტიციის სახლში პროექტის - „კეთილი იყოს შენი მობრძანება“ - განხორციელების შესახებ“, სსიპ-იუსტიციის სახლის აღმასრულებელი დირექტორის 2016 წლის 17 მაისის №312/ს ბრძანების და იუსტიციის სახლის 2016 წლის 30 მაისის №1469 წერილის საფუძველზე, ვთანხმდებით შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების მიზანი და საგანი

1. ხელშეკრულების მიზანია, იუსტიციის სახლის აღმასრულებელი დირექტორის 2016 წლის 17 მაისის №312/ს ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ - იუსტიციის სახლში პროექტის - „კეთილი იყოს შენი მობრძანება“ (შემდგომში - პროექტი) განხორციელების უზრუნველსაყოფად მხარეთა თანამშრომლობის შინაარსის განსაზღვრა და კანონმდებლობის ფარგლებში მოქცევა.

2. ხელშეკრულების საგანია სააგენტოს მიერ იუსტიციის სახლისათვის „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ (შემდგომში - ბაზა) რეგისტრირებული იმ ოჯახის წევრის შესახებ ინფორმაციის მიწოდება, რომლის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის მაჩვენებელი პირობითი ერთეული (სარეიტინგო

ქულა) - არ აღემატება 100 000-ს და რომელსაც „იუსტიციის სახლისათვის“ გამოხატული აქვს თანხმობა მისი ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის გამოთხოვაზე, ხელშეკრულების №1 დანართით განსაზღვრული, მონაცემთა სუბიექტის თანხმობის საფუძველზე.

3. იუსტიციის სახლისათვის, ამ მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, მონაცემების მიწოდება ხორციელდება ამ ხელშეკრულების №2 დანართით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

მუხლი 2. კავშირის უზრუნველყოფა

1. იუსტიციის სახლისათვის ინფორმაციის მიწოდება ხორციელდება სამინისტროს და სერვისების განვითარების სააგენტოს ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის/ელექტრონული სისტემის (შემდგომში - ინფრასტრუქტურა) მეშვეობით, რომლებიც უზრუნველყოფენ მის გამართულ მუშაობასა და შეუფერხებლად გამოყენებას.

2. ინფორმაციის მისაწოდებლად მხარეთა შორის კავშირი მყარდება დახურული კერძო ქსელის (VPN) საშუალებით, რომელიც აიგება ინტერნეტ სერვისის პროვაიდერის საკომუნიკაციო არხების გამოყენებით. დახურული კერძო ქსელის აგებისას გამოყენებული ქსელური მოწყობილობა უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მინიმალურ მოთხოვნებს:

ა) მარშრუტიზაციისა და IPSec Tunnel ტექნოლოგიის მხარდაჭერა;

ბ) შიფრაციის პროტოკოლის 3DES მხარდაჭერა;

გ) ჰეშირების პროტოკოლის SHA მხარდაჭერა;

3. წინამდებარე ხელშეკრულების ამოქმედებიდან 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში სამინისტრო და სერვისების განვითარების სააგენტო უზრუნველყოფს დახურული კერძო ქსელის (VPN) კონფიგურირებას (გამართვას).

მუხლი 3. მხარეთა კომუნიკაციის პირობები

1. ხელშეკრულებით გათვალისწინებულ საკითხებზე მხარეები ერთმანეთის ინფორმირებას ახდენენ მათ მიერ განსაზღვრული, უფლებამოსილი პირ(ებ)ის მეშვეობით, ელექტრონული ფოსტით ან/და სატელეფონო კომუნიკაციის გზით.

2. ხელშეკრულების გაფორმებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში მხარეები ერთმანეთს უგზავნიან წერილს უფლებამოსილი პირ(ებ)ის განსაზღვრის თაობაზე. უფლებამოსილი პირ(ებ)ის შეცვლა/დამატება აგრეთვე შესაძლებელია მხარისათვის წერილის გაგზავნით.

3. უფლებამოსილი პირ(ებ)ის განსაზღვრის (გამოყოფის) და/ან შეცვლის საკითხები რეგულირდება მხარისათვის წერილის გაგზავნით და არ საჭიროებს წინამდებარე ხელშეკრულებაში ცვლილებების და/ან დამატებების შეტანას.

მუხლი 4. ინფორმაციის გამოთხოვის და მიწოდების პროცედურა

1. იუსტიციის სახლის მოთხოვნა უნდა შეიცავდეს მონაცემთა სუბიექტის პირად ნომერს.

2. სააგენტო, ხელშეკრულების პირველი მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაციის მიწოდებას (დაბრუნებას) იუსტიციის სახლისათვის უზრუნველყოფს მყისიერად (დროის რეალურ რეჟიმში).

3. იუსტიციის სახლი აცნობიერებს მისთვის გადასაცემი ინფორმაციის სამართლებრივ სტატუსს, პერსონალური მონაცემების დაცვის მნიშვნელობას, მისი დაცვისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს და

პასუხისმგებლობას იმასთან დაკავშირებით, რომ იუსტიციის სახლის მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია დაკავშირებულია მის საქმიანობასთან და გამოყენებული იქნება მხოლოდ კანონის შესაბამისი მიზნებისათვის, აგრეთვე, მიღებული ინფორმაციის კონფიდენციალობაზე პასუხისმგებლობა ეკისრება იუსტიციის სახლს.

მუხლი 5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი:

1. **იუსტიციის სახლი უფლებამოსილია** გამოითხოვოს პირველი მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული ინფორმაცია, მის მიერ განხორციელებული პროექტისფარგლებში, დაინტერესებული პირისათვის სასაჩუქრე ნაკრების გადაცემის მიზნით.

2. **იუსტიციის სახლი ვალდებულია:**

ა) არ დაუშვას „სააგენტოსაგან" მიღებულ ინფორმაციაზე მესამე პირთა დაშვება (წვდომა), „სააგენტოსგან" მიღებული ინფორმაციის მესამე პირებისათვის გადაცემა, გადაცემის მიზნით დამუშავება/სისტემატიზაცია ან/და სხვაგვარი ხელმისაწვდომობა, კოპირება/შენახვა, (გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა), როგორც ხელშეკრულების მოქმედების ვადის განმავლობაში, ისე მისი ვადის გასვლის შემდგომ;

ბ) უზრუნველყოს ბაზიდან ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით ინფორმაციის გამოთხოვა მხოლოდ კანონმდებლობით და პროექტის ფარგლებში უფლებამოსილებების განსახორციელებლად, მკაფიოდ განსაზღვრული კანონიერი მიზნისთვის და იმ მოცულობით, რომელიც აუცილებელია ამ მიზნის მისაღწევად;

გ) გამოთხოვილი მონაცემების დაცვის მიზნით, მიიღოს უსაფრთხოების შესაბამისი ზომები მათი არასანქცირებული ან/და შემთხვევითი დარღვევის, დაკარგვის, არასანქცირებული შეღწევის, შეცვლის ან გავრცელების წინააღმდეგ. ასევე, არ დაუშვას მათი გამოყენება კანონიერ მიზნებთან შეუთავსებელი გზით;

დ) აცნობოს სააგენტოს იმ საკანონმდებლო და/ან ადმინისტრაციულ/ორგანიზაციული ცვლილებების შესახებ, რომლებიც გავლენას ახდენენ ამ ხელშეკრულების პირობებზე, ცვლიან ხელშეკრულების საგანს და/ან მიზნებს, ცვლილების ამოქმედებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში;

ე) აღრიცხოს პირველი მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული სერვისით სარგებლობის შესახებ ინფორმაცია, სააგენტოსგან მიღებული მონაცემთა სუბიექტის რეკვიზიტების, მათი მხრიდან გამოხატული თანხმობის (მონაცემთა სუბიექტის თანხმობა), სერვისით სარგებლობის თარიღის/დროის მიხედვით. ამ პუნქტის შესაბამისად აღრიცხული ინფორმაცია იუსტიციის სახლში უნდა ინახებოდეს არანაკლებ 1 (ერთი) წლის განმავლობაში;

ვ) მიაწოდოს სააგენტოს ამ პუნქტის „ე" ქვეპუნქტის გათვალისწინებით აღრიცხული ინფორმაცია, მოთხოვნიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში.

3. პასუხისმგებლობა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ა" ქვეპუნქტის დაცვაზე (მონაცემთა სუბიექტის თანხმობა) კანონისა და მონაცემთა სუბიექტის წინაშე ეკისრება იუსტიციის სახლს.

4. **სააგენტო უფლებამოსილია:**

ა) იუსტიციის სახლისაგან მიიღოს ინფორმაცია იმ საკანონმდებლო და/ან ადმინისტრაციულ/ორგანიზაციული ცვლილებების შესახებ, რომლებიც გავლენას ახდენენ ამ ხელშეკრულების პირობებზე, ცვლიან ხელშეკრულების საგანს და/ან მიზნებს, ცვლილების ამოქმედებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში;

ბ) იუსტიციის სახლისგან მიიღოს ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ინფორმაცია მოთხოვნიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში;

გ) მოსთხოვოს იუსტიციის სახლს მე-6 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ჯარიმის გადახდა.

5. სააგენტო ვალდებულია:

ა) ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით, სათანადო მოთხოვნის მიღებიდან მყისიერად (დროის რეალურ რეჟიმში) მიაწოდოს იუსტიციის სახლს ინფორმაციის გაცემის მომენტისათვის (მონაცემების მოთხოვნის თარიღი) ბაზაში არსებული მონაცემები;

ბ) აცნობოს იუსტიციის სახლს იმ საკანონმდებლო და/ან ადმინისტრაციულ/ორგანიზაციული ცვლილებების შესახებ, რომლებიც გავლენას ახდენენ ამ ხელშეკრულების პირობებზე, ცვლიან ხელშეკრულების საგანს და/ან მიზნებს, ცვლილების ამოქმედებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში;

6. სააგენტო პასუხისმგებელია ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით, მხოლოდ ინფორმაციის გაცემის მომენტისათვის (ინფორმაციის გაცემის თარიღი) ბაზაში დაფიქსირებულ მონაცემებას და იუსტიციის სახლისათვის მიწოდებულ მონაცემებს შორის შესაბამისობაზე.

7. სამინისტრო ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული კავშირის უზრუნველსაყოფად საჭირო ღონისძიებები, საკუთარი ინფრასტრუქტურის გამართული მუშაობა და შეუფერხებლად გამოყენება;

ბ) საკუთარი ინფრასტრუქტურის წვდომაზე წინასწარ ცნობილი შეფერხების ან მისი ტექნიკური ცვლილების თაობაზე აცნობოს მხარეებს, შეფერხებამდე არაუგვიანეს 2 (ორი) სამუშაო დღით ადრე;

გ) სისტემაში ტექნიკური დაზიანებების წარმოშობის შემთხვევაში, დაუყოვნებლივ აცნობოს (წერილობით ან/და ელექტრონული ფოსტით) მხარეებს აღნიშნულის თაობაზე და მაქსიმალურად მოკლე დროში აღმოფხვრას დაზიანება.

8. სერვისების განვითარების სააგენტო ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული კავშირის უზრუნველსაყოფად საჭირო ღონისძიებები, საკუთარი ინფრასტრუქტურის გამართული მუშაობა და შეუფერხებლად გამოყენება;

ბ) საკუთარი ინფრასტრუქტურის წვდომაზე წინასწარ ცნობილი შეფერხების ან მისი ტექნიკური ცვლილების თაობაზე აცნობოს მხარეებს, შეფერხებამდე არაუგვიანეს 2 (ორი) სამუშაო დღით ადრე;

გ) სისტემაში ტექნიკური დაზიანებების წარმოშობის შემთხვევაში, დაუყოვნებლივ აცნობოს (წერილობით ან/და ელექტრონული ფოსტით) მხარეებს აღნიშნულის თაობაზე და მაქსიმალურად მოკლე დროში აღმოფხვრას დაზიანება.

მუხლი 6. მხარეთა პასუხისმგებლობა და დავის გადაწყვეტის წესი

1. მხარეთა შორის სადავო საკითხები წყდება მოლაპარაკების გზით, შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავას განიხილავს სასამართლო, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

2. ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების დარღვევის ან/და არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, იუსტიციის სახლს დაეკისრება ჯარიმა თითოეული ასეთი დარღვევისათვის/არაჯეროვანი შესრულებისათვის 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით, რომლის გადახდა განხორციელდება სააგენტოს მიერ მითითებულ ანგარიშზე. აღნიშნული

ჯარიმის გადახდა არ ათავისუფლებს იუსტიციის სახლს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან.

3. ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი საკითხები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

მუხლი 7. ფორსმაჟორი

1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორსმაჟორული, მათ შორის, ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე საომარი მოქმედებები თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, ფორსმაჟორის გამომწვევ გარემოებათა დასრულებამდე.

2. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორსმაჟორული გარემოება 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში აცნობებს ხელშეკრულების სხვა მონაწილეებს ვალდებულების შეუსრულებლობის მიზეზებს და მათი შესრულების მოსალოდნელ თარიღს, რის შემდეგაც, ნაკისრი ვალდებულებების შესრულება შეიძლება გადაიდოს ფორსმაჟორის გაგრძელების ვადით ან ხელშეკრულება შეწყდეს მხარეთა შეთანხმებით.

მუხლი 8. ხელშეკრულების მოქმედების ვადა, შეწყვეტა და მასში ცვლილებები

1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2016 წლის 14 ნოემბრის ჩათვლით.

2. სააგენტოს ბაზიდან იუსტიციის სახლისათვის ინფორმაციის მიწოდება განხორციელდება 2016 წლის 14 ივნისიდან.

3. წინამდებარე ხელშეკრულება შესაძლებელია შეწყდეს ურთიერთშეთანხმებით. შეწყვეტა შესაძლებელია ასევე, ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის ინიციატივით, უპირობოდ, ნებისმიერ დროს, ხელშეკრულების დანარჩენ მხარეთათვის, შეწყვეტამდე 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღით ადრე, წერილობითი შეტყობინების გაგზავნის გზით. აღნიშნული ვადის გასვლისთანავე ხელშეკრულება ითვლება შეწყვეტილად.

4. წინამდებარე ხელშეკრულებაში ცვლილებების და დამატებების შეტანა დასაშვებია მხარეთა ერთობლივი წერილობითი შეთანხმებით.

5. ხელშეკრულების მხარეები უფლებამოსილნი არიან მოითხოვონ ხელშეკრულების მისადაგება შეცვლილი გარემოებებისადმი.

მუხლი 9. დამატებითი პირობები

1. ხელშეკრულების მხარეები ვთანხმდებით, რომ ბაზის ადმინისტრირების პროცესების სპეციფიურობის გათვალისწინებით, სააგენტო პასუხს არ აგებს იუსტიციის სახლისათვის მონაცემთა სუბიექტზე გაცემულ ინფორმაციაში, ამ ინფორმაციის იუსტიციის სახლისათვის მიწოდების შემდგომ პერიოდში, განხორციელებული ნებისმიერი სახის ცვლილების გამო დამდგარ შედეგზე.

2. წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმოწერით იუსტიციის სახლი ადასტურებს მზაობას საკუთარი შესაძლებლობების ფარგლებში თავად უზრუნველყოს ნებისმიერი იმ ფიზიკური პირის (პირების) დაკმაყოფილება, რომელსაც შეიძლება მიადგეს რაიმე სახის შესაძლო ზიანი და/ან ზარალი, იუსტიციის სახლის მხრიდან განხორციელებული რაიმე მოქმედების ან უმოქმედობის შედეგად, რაც უკავშირდება იუსტიციის სახლის მიერ ბაზაში არსებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით პროექტის ფარგლებში საჩუქრით სარგებლობას.

3. ამ მუხლში აღნიშნული პირობები ძალაში დარჩება წინამდებარე ხელშეკრულების შეწყვეტის (გაუქმების, ძალადაკარგულად გამოცხადების) შემთხვევაშიც.

4. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, 4 (ოთხი) თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, თითოეულ მხარეს გადაეცემა თითო ეგზემპლარი.

5. მხარეებს შორის ნებისმიერი შეთანხმება ამ ხელშეკრულების ფარგლებში, განხორციელდება წერილობითი ფორმით და როგორც განუყოფელი ნაწილი, დაერთვება ხელშეკრულებას.

მუხლი 10. მხარეთა რეკვიზიტები

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო
ქ. თბილისი, აკაკი წერეთლის გამზ. №144
საიდენტიფიკაციო კოდი : 211333957

ზაზა სოფრომაძე
მინისტრის მოადგილე

სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტო
ქ. თბილისი, აკაკი წერეთლის გამზ. №144,
საიდენტიფიკაციო კოდი: 202178927

ეთერა სონღულაშვილი
დირექტორის მოადგილის
მოვალეობის შემსრულებელი

სსიპ - იუსტიციის სახლი
ქ. თბილისი, სანაპიროს ქ. №2
საიდენტიფიკაციო კოდი: 204580202

გივი აზაურაშვილი
აღმასრულებელი დირექტორის
მოვალეობის შემსრულებელი

სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო
აკ. წერეთლის გამზ. №67ა,
საიდენტიფიკაციო კოდი: 202307404;

გიორგი პატარიძე
თავმჯდომარის მოვალეობის
შემსრულებელი

დანართი 1

თანხმობა
პერსონალური მონაცემების გადამოწმების თაობაზე

თანხმობას ვაცხადებ, რომ სსიპ „იუსტიციის სახლმა“ (შემდეგში - იუსტიციის სახლი) კანონმდებლობით დადგენილი წესით, „სსიპ - იუსტიციის სახლში პროექტის - „კეთილი იყოს შენი მობრძანება“ განხორციელების შესახებ“ იუსტიციის სახლის აღმასრულებელი დირექტორის 2016 წლის 17 მაისის №312/ს ბრძანებით განსაზღვრული სასაჩუქრე ნაკრების გადმოცემის მიზნით და ამ მიზნის განსახორციელებლად საჭირო მოცულობით, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ ადმინისტრირებად „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ გადაამოწმოს ჩემი პერსონალური მონაცემები.

მოქალაქე (სახელი, გვარი, პირადი ნომერი)
თარიღი: --.--.2016წ.

„სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზასთან“ ელექტრონული ურთიერთობის პროტოკოლი

სერვისი და სერვისის ოპერაციები :

ინფორმაცია, არის თუ არა პიროვნება სარეიტინგო ქულის დიაპაზონებში სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში.

სერვისის პარამეტრები:

- პიროვნების პირადი ნომერი;
- სარეიტინგო ქული დიაპაზონების მასივი;
- მომხარებლის სახელი;
- მომხმარებლის პაროლი;

სერვისის გამოძახება

სერვისი განთავსებულია შემდეგ მისამართზე:

http://172.17.8.125:3030/SSASocialServices/ssaservice.asmx

მეთოდის დასახელებაა:

```
CheckFamilyScoresByScoreRanges (string privateNumber, ScoreRange[] ranges, string userName,
            string password, string sender_ID_DEA, string correlationID)
```

privateNumber - პირადი ნომერი

ranges - სარეიტინგო ქულების დიაპაზონი,

userName - მომხმარებლის სახელი

password – პაროლი

sender_ID_DEA - გადმოეცით null

correlationID - გადმოეცით null

სერვისი აბრუნებს კლასს

FamilyScoreCheckByRangesResult

კლასების აღწერა

```
/// <summary>
/// სარეიტინგო ქულის დიაპაზონი
/// </summary>
public class ScoreRange
{
    public int MinValue { get; set; }   // ქვედა ზღვარი
    public int MaxValue { get; set; }   // ზედას ზღვარი

}

/// <summary>
/// ოჯახის სარეიტინგო ქულების დიაპაზონის მასივი
/// </summary>
public class FamilyScoreCheckByRangesResult
{
    public ResultStatus ResultStatus { get; set; }              // ოპერაციის სტატუსი
    public Person Person { get; set; }                          // პიროვნება
    public ScoreRangeResult [] ScoreRangesResult { get; set; }  // სარეიტინგო ქულების
        დიაპაზონი შედეგით
}
```

```
/// <summary>
/// მოთხოვნის პასუხის სტატუსი
/// </summary>
public class ResultStatus
{
```

```
    int StatusCode;                // სტატუსი კოდი
    string StatusDescription;      // სტატუსის განმარტება
}


/// <summary>
/// პიროვნება
/// </summary>
public class Person
{
     public string PrivateNumber { get; set; }    // პირადი ნომერი
     public string LastName { get; set; }         // გვარი
     public string FirstName { get; set; }        // სახელი
     public DateTime BirthDate { get; set; }     // დაბადების თარიღი
     public int Sex { get; set; }                 // სქესი: 0-მდ, 1-მამრ
}

/// <summary>
/// სარეიტინგო ქულის დიაპაზონი შედეგით
/// </summary>
public class ScoreRangeResult
{
     public int MinValue { get; set; }   //სარეიტინგო ქულის მინიმუმი
     public int MaxValue { get; set; }//სარეიტინგო ქულის მაქსიმუმი
     public bool IsInRange { get; set; }//სარეიტინგო ქულის არსებობა მოცემულ დიაპაზონში (true
          - მოთავსებულია, false -არაა მოთავსებული)
}
```

ცხრილი #1: სტატუსის კოდები და განმარტება

პასუხის კვალიფიცირება	StatusCode	StatusDescription
შეცდომა	-1	Wrong username/password or Access denied
შეცდომა	-1	because of technical gap, it is impossible to search information
შეცდომა	-1	სისტემის შეცდომა (Exception)
	1	Operation success